კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

2014 წელი 26 მარტი

სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტი და შემსყიდველი ორგანიზაციების წრე.....3

2. უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები.....3

3. უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები.....6

4. უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლების შესავსები ფორმა (დანართი N1).....7

5. უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები (დანართი N2).....8

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „2014 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N185 განკარგულებისა და ,,საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე.

1. შესყიდვის ობიექტი და შემსყიდველი ორგანიზაციების წრე

1.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (შემდგომში - ქაღალდი). შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობა არის 250 000 შეკვრა.

1.2 შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებზეც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერი არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) სახელმწიფო ორგანოს ფორმით რეგისტრირებული ორგანიზაციები (მაგ. სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები, როგორიცაა ტერიტორიული ორგანოები და სხვ.), საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ფორმით რეგისტრირებული ორგანიზაციები, გარდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ებისა. კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება ასევე სავალდებულოდ ვრცელდება სისტემაში რეგისტრირებულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციაზე, მათი სამართლებრივი ფორმის/სტატუსის მიუხედავად, რომელთა იურიდიული ან /და ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისშია (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია).

1.3 ყველა სხვა შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელზეც 1.2 პუნქტის შესაბამისად სავალდებულოდ არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერი, (შემდგომში - არასავალდებულო შემსყიდველი ორგანიზაცია) უფლებამოსილია, მიმართოს უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) გამარჯვებულ მიმწოდებელს (შემდგომში - გამარჯვებული მიმწოდებელი) უმაღლესი ხარისხის ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით შესყიდვის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში, 2014 წლის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიისთვის, (შემდგომში - სატენდერო კომისია) რაიმე სახის მიმართვა არ ხდება.

1.4 იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით არასავალდებულო შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მიზანშეუწონელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება ქაღალდის მიწოდებაზე (შემდგომში - ხელშეკრულება) დადება გამარჯვებულ მიმწოდებელთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ქაღალდის შესყიდვისას უნდა იხელმძღვანელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრებითა და შესაბამისი პროცედურებით.

1.5 ამ მუხლის 1.2 პუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ქაღალდის შესყიდვისა.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები

2.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება მხოლოდ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებული მომხმარებელი.

2.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მიმწოდებელს,

რომელსაც გააჩნია ქაღალდის მიწოდების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება, რისი დამამტკიცებელი შესაბამისი დოკუმენტი უნდა დაერთოს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებას.

2.3 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ს „უმაღლესი ხარისხის ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები“, რაც უნდა იყოს დამტკიცებული შესაბამისი ინგლისურენოვანი ან ქართულ ენაზე ოფიციალურად ნათარგმნი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენით.

2.3.1 ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ხის მერქნისგან, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენით.

2.3.2 მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ქაღალდის პარამეტრები ზუსტად უნდა იყოს მოქცეული დანართი N2-ის მოთხოვნების პირველ-მე-5 პუნქტებში მოყვანილ მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვრებს შორის.

2.4 მიმწოდებელმა სატენდერო წინადადებით უნდა წარმოადგინოს ქაღალდის მიწოდების პუნქტის/პუნქტების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული პუნქტი/პუნქტები როგორც მინიმუმ უნდა მდებარეობდეს ქ. თბილისში.

2.5 მიმწოდებელმა სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

2.5.1 ცნობა გადახდიისუნარობის საქმის წარმოების შესახებ - სატენდერო წინადადებასთან ერთად ;

2.5.2 ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ - სატენდერო წინადადებასთან ერთად;

2.5.3 ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან - სატენდერო წინადადებასთან ერთად ;

2.6 ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებელმა ელექტრონული ვაჭრობის დასრულებიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ასეთი მიმწოდებლის/მიმწოდებლების დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებელმა შესაბამისი ოქმის სისტემაში ატვირთვიდან მომდევნო 10 სამუშაო დღის ვადაში სისტემაში უნდა ატვირთოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა კონსოლიდირებულ ტენდერში შემოთავაზებული ქაღალდის შემდეგ ტექნიკურ მაჩვენებლებზე:

ა) ქაღალდის დამზადების მასალა (დამზადებულია თუ არა ხის მერქნისგან);

ბ) ქაღალდის გრამაჟი (გრ/მ^2);

გ) ქაღალდის სიკაშკაშე (%);

დ) ქაღალდის გაუმჭვირვალობა (%);

ე) ქაღალდის სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით – %);

ვ) ქაღალდის დამზადების ტექნოლოგია (დამზადებულია თუ არა ქაღალდი ქლორის გამოყენების გარეშე).

2.6.1 წინამდებარე დოკუმენტაციის 2.6 პუნქტით გათვალისწინებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2014 წლის 1 იანვრისა.

2.6.2 ამ მუხლის 2.5.1-2.5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმნეტების გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2014 წლის 2 აპრილისა. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში თუ კომისიამ მიიჩნია, რომ მითითებულ ცნობებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადება, მიმწოდებელი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

2.7 მიმწოდებელმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემაში უნდა ატვირთოს მის მიერ

შეთავაზებული ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები დანართი N1-ის შესაბამისად.
2.7.1 სატენდერო კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს ქაღალდის მწარმოებლისგან შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენა, რითიც შესაძლებელი იქნება შეთავაზებული ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლების დადასტურება.
2.8 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 200 ლარი; კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის საფასური გადახდილ უნდა იქნეს სისტემის მეშვეობით.
2.9 გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2.10 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 შეკვრა (არანაკლებ 500 ფურცელი) ქაღალდის ფასზე.
2.11 კონსოლიდირებულ ტენდერში 1 შეკვრა (არანაკლებ 500 ფურცელი) ქაღალდის საწყისი სავაჭრო ფასია 6.20 ლარი (ექვსი ლარი და ოცი თეთრი). მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 0.01 ლარს (1 თეთრი).
2.12 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მიმწოდებელი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და აკმაყოფილებს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი მიმწოდებლის მიერ თანაბარი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ მიმწოდებელს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.
2.13 გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.
2.14 ანგარიშსწორება უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ქაღალდის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.
2.15 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2.16 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ ქაღალდის შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.
2.17 ხელშეკრულებაში მითითებული ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

2.18 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია მისი გამარჯვებულად გამოვლენისთანავე 1.2 პუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართვის საფუძველზე, დაიწყოს მათთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები და ქაღალდის პირველი მიწოდება განახორციელოს გამარჯვებულად გამოვლენიდან არაუგვიანეს 30 დღისა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო ყოველი შემდგომი მიწოდება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და თვეში ერთხელ (თუ ხელშეკრულებით მიტანის სხვა პერიოდულობა არ არის გათვალისწინებული). სხვა შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნისას, გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქაღალდის მიწოდება მის სატენდერო წინადადებაში წინასწარ მითითებულ ქაღალდის მიწოდების პუნქტიდან/პუნქტებიდან.

2.19 ქაღალდის შესყიდვის მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გამარჯვებულ მიმწოდებელს უნდა მიმართონ შესაბამისი მოთხოვნით, გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენიდან 1 კვირის ვადაში.

2.20 ქ. თბილისის ტერიტორიის გარეთ ქაღალდის მიწოდების საკითხი და მიწოდების ღირებულება განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციისა და გამარჯვებული მიმწოდებლის შეთანხმებით.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადებების მიღება მთავრდება 2014 წლის 14 აპრილს. სატენდერო წინადადების განხილვა სატენდერო კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სისტემაში.

3.2 ბაზარზე ქაღალდის ფასის შემცირების შემთხვევაში, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს გამარჯვებულ მიმწოდებელს მის მიერ შეთავაზებული ფასის გადახედვა.

3.3 სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები იგზავნება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: paper2014@spa.gov.ge.

3.4 ხელშეკრულების მიხედვით, ქაღალდის მიწოდება უნდა მოხდეს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დანართი N1

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლების შესავსები ფორმა

1	ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	
2	მწარმოებელი ქვეყანა	
3	გრამაჟი (გრ/მ^2)	
4	სისქე (UM)	
5	სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით–%)	
6	გაუმჭვირვალობა (%)	
7	სიკაშკაშე (%)	
8	ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN)	
9	შეკვრაში ფურცლების რაოდენობა	

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1.გრამაჟი (გრ/მ2) – 78– 82;
2. სისქე (um)– 104-110;
3. სითეთრე CIE – 148-167 ;
4. გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 94%;
5. სიკაშკაშე – 98-104%;
6. ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან – არა უმეტეს 150
7. ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
8. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე (გააჩნდეს ECF სერტიფიკატი);
9. ქაღალდს უნდა გააჩნდეს ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამის (PEFC) მიერ გაცემული ლიცენზია/სერტიფიკატი;
10. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;
11. ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისა
თვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.